

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

18. 09. 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 27/105
2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 30 ივნისი

ს ა რ ზ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	4
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	5
სახელმწიფო შესყიდვები	5
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	6
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	7
სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	7
სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	7
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	10
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები.....	11



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსს 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სახელმწიფო შესყიდვები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი, აგრეთვე სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სხვადასხვა სახის სახელმწიფო შესყიდვებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, ახორციელებენ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კანონით¹ გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი დადგენილია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღონისძიებები ხორციელდება სხვადასხვა პერიოდულობით, მთელი წლის განმავლობაში და ვადებში შეზღუდულობის საკითხი, რიგ შემთხვევებში, არ დგას, შემსყიდველის მიერ აღნიშნული საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მოთხოვნა გონივრულ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმის მიზნებს. ეფექტური კონკურენციის არარსებობის პირობებში, ზემოაღნიშნული წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადრე გაცემული რეკომენდაციები სამინისტროს მიერ სრულად არ იქნა გათვალისწინებული.

- სსიპ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის“ მიერ, პანსიონის 220 აღსაზრდელის კვებითი უზრუნველყოფის მომსახურებაზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით², გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება³. ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი მომსახურების გაწევას უზრუნველყოფდა საკუთარი კვების პროდუქტებით და დამხმარე პერსონალით⁴. ხელშეკრულებაში 2015 წლის 1 აპრილს შევიდა ცვლილება, რომლითაც მიმწოდებელის ვალდებულებას ადარ წარმოადგენდა მომსახურების გაწევა საკუთარი დამხმარე პერსონალით. შემდგომში დამხმარე პერსონალის დაქირავების

¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

² SPA140029545

³ ხელშეკრულება N03-05/2, 05/01/2015 წ.

⁴ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 2.2 პუნქტი



ხარჯები დაფინანსებული იქნა სსიპ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის“ მიერ. განხორციელებული ცვლილების შედეგად, სკოლის ბიუჯეტიდან დამატებით იქნა გაწეული 4 391.7 ლარის ხარჯი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 134 241 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 139 288 ლარი. აღნიშნული ხარჯიდან 3 668.3 ლარი გაწეულია ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლის“ მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალება SUBARU FORESTER-ის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე, მათ შორის, მხოლოდ სათადარიგო ნაწილებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე - 2 208.3 ლარი. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება არ ირიცხება ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლის“ ბალანსზე, ხოლო აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ბალანსის თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარება შეადგენს 7 326 ლარს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ველში ასახულია სსიპ „სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ძირითადი კაპიტალის ჩამოწერით წარმოშობილი თანხა. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთის და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივის ღირებულების შემცირებას, ხოლო აქტივების გასვლა არის ყველა ოპერაცია, რომელიც ამცირებს ერთეულის აქტივების მოცულობას (გაყიდვა, გასხვისება, ჩამოწერა და სხვა), გარდა ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა.



ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

სამინისტროს წართი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით⁵ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსება განისაზღვრა 36 673 307 ლარით. სამინისტროს 6 თვის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 16 682 830 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა - 14 191 317.3 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 85.1%). მათ შორის, ხარჯების დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 15 779 304 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 13 527 667.4 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 85.7 %), არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 818 436 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 579 815.7 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 70.8 %), ხოლო ვალდებულებების კლების დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 85 090 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 83 834.2 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 98.5 %).

ბიუჯეტის ასიგნებების მუხლობრივი გადანაწილება და საკასო შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

დასახელება	2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი (ლარი)	2015 წლის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი (ლარი)	2015 წლის 6 თვის საკასო შესრულება (ლარი)	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ხარჯები	34,830,111	15,779,304	13,527,667.4	85.7
შრომის ანაზღაურება	16,023,382	8,449,031	7,597,055.6	89.9
საქონელი და მომსახურება	6,772,876	3,659,476	2,838,001.2	77.6
სუბსიდიები	122,000	68,800	54,610	79.4
სოციალური უზრუნველყოფა	111,235	65,735	65,526.7	99.7
სხვა ხარჯები	11,800,618	3,536,262	2,972,473.8	84.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,758,106	818,436	579,815.7	70.8
ვალდებულებების კლება	85,090	85,090	83,834.2	98.5
სულ:	36,673,307	16,682,830	14,191,317.3	85.1

სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის 2015 წლის 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი, მიზნობრივი პროგრამების ჩათვლით, განისაზღვრა 4 138 824 ლარით. დაზუსტებულმა ბიუჯეტმა

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (ვებგვერდი, 18/12/2014, სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016044)



შეადგინა 3 487 224 ლარი. სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის შეადგენს 651 600 ლარს. მნიშვნელოვანი სხვაობა გამოწვეულია 2015 წლის 6 თვეში გასაწევი გადასახდელების 2015 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გადატანის გამო. მათ შორის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ქვეპროგრამიდან 2015 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტში გადატანილი იქნა 168 500 ლარი, ხოლო 2015 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტში - 130 750 ლარი, „საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა“ ქვეპროგრამიდან 2015 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტში გადატანილი იქნა 69 000 ლარი, „საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა“ ქვეპროგრამიდან 2015 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტში გადატანილი იქნა 60 000 ლარი, „განათლების ხარისხის გაუმჯობესება“ პროგრამის ფარგლებში, „კონკურსები და ოლიმპიადები“ ქვეპროგრამიდან 2015 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტში გადატანილი იქნა 43 500 ლარი, ხოლო 2015 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტში - 2 500 ლარი, „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამიდან კი 2015 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტში გადატანილი იქნა 76 650 ლარი, ხოლო 2015 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტში - 160 000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის საკასო შეასრულებამ შეადგინა 3 153 117 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 90.4%). მათ შორის, ხარჯების დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 3 400 606 ლარი, საკასო შესრულებამ - 3 085 560 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 90.7%), არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 19 700 ლარი, საკასო შესრულებამ - 640 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 3.2%), ხოლო ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 66 918 ლარი, საკასო შესრულებამ - 66 917 ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 100%). სამინისტროს აპარატის 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების სრული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის სახით:


დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი (ლარი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (ლარი)	საკასო შესრულება (ლარი)	სხვაობა (დაზუსტებ - საკასო)	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ხარჯები	4,114,124	3,400,606	3,085,560	300,856	90.7
შრომის ანაზღაურება	587,450	581,065	549,808	31,257	94.6
საქონელი და მომსახურება	183,754	213,202	183,094	30,108	85.9
შტატგარეშე მომუშ. ანაზღაურება	19,170	45,570	38,250	7,320	83.9
მივლინებები	13,000	27,660	25,205	2,455	91.1



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ოფისის ხარჯები	59,426	49,351	43,852	5,499	88.9
წარმომადგენლობითი ხარჯები	12,480	7,280	3,652	3,628	50.2
სამედიცინო ხარჯები	0	960	480	480	50
რბილი ინვენტარის, უნიფ. შეძენის ხარჯები	0	80	80	0	100
ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატ. და მოვლა-შენახვის ხარჯები	31,440	36,633	26,881	9,752	73.4
სხვა დანარჩ. საქონ. და მომსახურება	48,238	54,468	44,694	9,774	82.1
სუბსიდიები	68,800	68,800	54,610	14,190	79.4
სოც. უზრუნველყოფა	0	15,049	15,047	2	100
სხვა ხარჯები	3,274,120	2,522,490	2,283,001	239,489	90.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	24,700	19,700	640	19,060	3.2
ვალდებულებების კლება	0	66,918	66,917	1	100
სულ:	4,138,824	3,487,224	3,153,117	334,107	90.4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების 2015 წლის 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 587 450 ლარს, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 581 065 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 549 808 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 94.6%-ია. გაცემულ შრომის ანაზღაურებაში თანამდებობრივი სარგოს, პრემიის და დანამატის თანაფარდობა წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ლარებში):





აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის საქონელი და მომსახურების 2015 წლის 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 183 754 ლარს, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 213 202 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 183 094 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 85.9%-ია.

სამინისტროს აპარატის ბალანსის თანახმად, მივლინებების საკასო ხარჯი შეადგენს 25 206 ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი 24 698 ლარს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სხვაობა 508 ლარი განპირობებულია ივნისის თვეში მივლინებისთვის განხორციელებული საავანსო გადახდით. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ სამინისტროს აპარატის მივლინებების ფაქტობრივი ხარჯი ნაცვლად 24 698 ლარისა, შეადგენს 24 394 ლარს. ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი 304.3 ლარი რესპუბლიკურ ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა ფინანსური აუდიტის დასრულებამდე.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ზვიად ვარშალომიძე

/აუდიტორი/

18 სექტემბერი 2015 წელი



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	აჭარის რაიონი	მთლიანი ფასები	მთლიანი ფასები (გადასახდელი)
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წაღები ფული საღარიბო ეროვნული ვალუტაში	1110		1443
020	წაღები ფული საღარიბო უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	266749	200208
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	1061	0
050	სადეკლარაციო ანგარიში ბანკში	1230	1258	858
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	6489	10651
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკანო ზარეგებისათვის	1250		
080	დეკლარაციები საბიუჯეტო ეროვნულ ვალუტაში	1260		0
090	დეკლარაციები საბიუჯეტო უცხოურ ვალუტაში	1270		
100	საბიუჯეტო სახსრები ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები საბიუჯეტო	1290		91243
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეკლარაციები და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და სკეპორებისათვის დაკავშირებული სხვა მომსახურებით	1354	150.00	
200	მოთხოვნები ყველა სახსრებზე და მათი გვერდულტვინებზე აქტივების მომსახურების მიწოდებით	1355	76750	160091
210	გადახდილი დანა	1356	13222	9919
220	წინასწარ გადახდილი მოცემების გადასახადები	1357	23089	21055
230	სხვა საგადასახადო აქტივები	1358	3475	3397
240	მოთხოვნები ყველადი სახსრების და მათი გვერდულტვინების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ზარეგებით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	1039716	588544
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	75614	
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	87879	87879
310	ანგარიშგაღებული მიზნების მიმართ მოთხოვნები	1450	465	3292
320	მოთხოვნების მიმართ მოთხოვნები	1460		508
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	334277	126761
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	10679	26637
350	გადახდილი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	18732.00	18732
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული ზარეგები	1610		
400	სხვა მატერიალური ზარეგები	1620	583749	648293
410	მშენებ-მშენებლები	2110	3938489	39693661
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	12789036	13135497
430	სხვა მორთავი აქტივები	2130	186369	141186
440	დაუმთავრებელი მორთავი აქტივები	2140	1538655	2244794
450	გრძელვადიანი მფარველობის აქტივები	2200	1369640	1464691
460	ფასიულობები	2300	6369976	6371041
470	არაფინანსური აქტივები	2400	19146099	19146099
	სულსა		83328088	84196480



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

კოდი	გაღებულებები და კაპიტალი	ანგარიში ს. ნომერი	ბათი ქვლის ფინანსური საბუღალტრო	ბათი ქვლის (გარეგანი)
1	2	3	4	5
I. გაღებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური გაღებულებები	3100		
490	მოშენებულების მოწოდებით დარიცხული გაღებულებები	3210	88247.00	121360
500	სტრუქტურის მოწოდებით დარიცხული გაღებულებები	3220	1418.00	7845
510	გაღებულებები მართებით	3230		
520	გადასახდელი მოვლის გადასახადი	3241	992	143
530	გადასახდელი დღვა	3242	800	5301
540	გადასახდელი სამუშაოთა გადასახადი	3243	15	3999
550	სხვა გადასახდელები	3244		145
560	მოკლევადიანი ფინანსური გაღებულებები შემოსავლის საკითხ შემოსულები	3245		
570	მოკლევადიანი ფინანსური დარიცხული გაღებულებები	3246	42898	65175
580	შტატით მოწოდებით დარიცხული ხელფასები	3251		16556
590	შტატით მოწოდებით დარიცხული ხელფასები	3252	60	3252
600	გაღებულებები მოვლით და მოვლის მოვლით	3253	776	836
610	გაღებულებები მოვლით და მოვლის მოვლით	3254	1139.00	1273
620	დასაქმებულების მიერ დაღწეული ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული გაღებულებები	3255		
630	დასაქმებულების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული გაღებულებები	3256		
640	გაღებულებები ორგანიზაციის მომსახურების ხელფასებიდან დაკავშირებული	3257		
650	გადასახდელი სტრუქტურის	3258		
660	სოციალური დახმარების ანაზღაურება	3259		
670	გაღებულებები დეპონირების მომსახურებით	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული გაღებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	2842	18473
700	გრძელვადიანი გაღებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური გაღებულებები	3320		
720	მოშენებულების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	სტრუქტურის მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	18732	18732
II. კაპიტალი				
750	წმინდა დარიცხულობა	5100	82907982	83214765
760	საპროგრამოების დარიცხვის მოვლა/ზარალი	5210	362161	385714
770	გადასახდელი მოვლა	5220	300476	332951
780	დასაქმებულების "ზარალი"	5230		
	საერთო		83328088	84196480
III. საგნობრივი მუხლები				
790	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	01	58000.00	58000
800	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	02	12940.00	12940
810	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	03	75.00	75
820	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	04	395300	399454
830	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	05		
840	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	06		
850	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	07		
860	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	08	495601	492040
870	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	09		
880	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	10	943448	972307
890	საინჟინერო-ტექნიკური აღჭურვილობის მართვადი აღჭურვილობა და მათთან დაკავშირებული დარიცხვები	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მოთმარებელი:

ზა

*დამოუკიდებელი სტრუქტურის მართვადი აღჭურვილობის გაღებულებები და მოვლა





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით									
ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური									
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური									
2015 წლის 01 ივლისისათვის									
ზომის ერთეული: ლარი									
სტრუქტურული კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ზოგადი დაზღვეული წლიური ზღვარი	საანგარიშო პერიოდის დაზღვეული ზღვარი	გადახდილი	მოხდენი	გადახდილი (მაკოს ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივ ხარჯზე და გადახდის ზედმეტი (პ-დ)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	34,831,336.00	15,779,312.00	13,077,153.00	13,527,605.00	13,517,660.00	13,896,760.00	369,150.00
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	16,034,955.00	9,440,031.00	7,625,774.00	7,597,055.00	7,597,055.00	8,223,049.00	625,994.00
030	1.1.1 ხელფასები	211			7,625,774.00	7,597,055.00	7,597,055.00	8,223,049.00	625,994.00
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111			7,625,774.00	7,597,055.00	7,597,055.00	8,223,049.00	625,994.00
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111			6,670,211.00	6,656,660.00	6,656,660.00	7,253,082.00	596,422.00
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112							-
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			636,918.00	431,584.00	431,584.00	661,156.00	29,572.00
080	1.1.1.1.4 დანაშტა	21114			918,645.00	308,811.00	308,811.00	308,811.00	-
090	1.1.1.1.5 სონორარი	21115							-
100	1.1.1.1.6 კონსტანტა	21116							-
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							-
120	1.1.2 სოციალური უზრუნველყოფა	212							-
130	1.1.2.1 ფაქტობრივ გახიზვადებული სოციალური უზრუნველყოფა	2121							-
140	1.1.2.2 პირთაგან გახიზვადებული სოციალური უზრუნველყოფა	2122							-
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	6,696,107.00	3,639,480.00	3,637,995.00	2,837,395.00	2,837,395.00	2,678,867.00	(167,128.00)
160	1.2.1 შეტყობინებ მომსახურება ანაზღაურება	2201	329,045.00	218,249.00	208,319.00	209,319.00	209,319.00	254,197.00	44,878.00
170	1.2.2 მოვლა-მედიკამენტი	222	301,870.00	256,515.00	140,567.00	140,567.00	140,567.00	138,037.00	(2,530.00)
180	1.2.3 ავტომობილის ხარჯები	223	1,329,940.00	655,805.00	507,491.00	507,491.00	507,491.00	553,579.00	46,088.00
190	1.2.4 წარმართვის/საქონლის ხარჯები	224	62,020.00	29,000.00	13,999.00	13,999.00	13,999.00	15,070.00	1,079.00
200	1.2.5 ელვის ხარჯები	225	376,660.00	211,178.00	138,561.00	138,561.00	138,561.00	138,561.00	-
210	1.2.6 სასაქონლო ხარჯები	226	11,370.00	9,111.00	5,755.00	5,755.00	5,755.00	5,814.00	59.00
220	1.2.7 მხოლოდ ინტერესის, უზრუნველყოფის და პირადი სიყვარულის სახის ხარჯები	227	130,240.00	(20,895.00)	58,295.00	58,295.00	58,295.00	31,667.00	(26,628.00)

230	1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია	228	342,863.00	179,614.00	134,241.00	134,241.00	134,241.00	139,288.00	5,047.00
240	1.2.9 საინჟინერო ტექნიკის და ტექნიკური	229							-
250	1.2.10 სხვა დანართები სასაქონლო და	2210	3,813,300.00	1,968,124.00	1,629,767.00	1,629,767.00	1,629,767.00	1,993,796.00	(374,029.00)
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						7,326.00	7,326.00
270	1.4 პირადი	24							-
280	1.4.1 სასაქონლო ექსპლუატაცია	241							-
290	1.4.1.1 პირადი ექსპლუატაცია	2411							-
300	1.4.1.2 მანქანებისა და ტექნიკის	2412							-
310	1.4.1.3 სასაქონლო ექსპლუატაცია	2413							-
320	1.4.1.4 სხვა სასაქონლო ექსპლუატაცია	2414							-
330	1.4.2 სასაქონლო ექსპლუატაცია, გარდა სასაქონლო ექსპლუატაციის	242							-
340	1.4.3 სასაქონლო ექსპლუატაცია, გარდა სასაქონლო ექსპლუატაციის	243							-
350	1.5 სხვა	25	222,000.00	68,800.00	54,610.00	54,610.00	54,610.00	32,990.00	(21,620.00)
360	1.6 გრანტები	26							-
370	1.6.1 გრანტები ელვის (სახელმწიფო) მოვლა-მედიკამენტი	261							-
380	1.6.1.1 მოვლა-მედიკამენტი	2611							-
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							-
400	1.6.2 გრანტები სხვა	262							-
410	1.6.2.1 მოვლა-მედიკამენტი	2621							-
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							-
430	1.6.3 გრანტები სხვა დანართების სახელმწიფო ექსპლუატაცია	263							-
440	1.6.3.1 მოვლა-მედიკამენტი	2631							-
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							-
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	81,000.00	48,730.00	45,320.00	45,320.00	45,320.00	48,866.00	1,346.00
470	1.7.1 სოციალური დახმარება	271							-
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							-
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							-
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272			45,320.00	45,320.00	45,320.00	45,320.00	-
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721			45,320.00	45,320.00	45,320.00	45,320.00	-
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							-
530	1.7.3 დამატებითი მოვლა-მედიკამენტი	273			20,230.00	20,230.00	20,230.00	21,566.00	1,336.00



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

540	1.7.3.1 აუდიტის ფორმით	2731			20,226.00	20,226.00	20,226.00	21,566.00	1,340.00
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							-
560	1.8 სხვა ხარჯები	28	11,889,476.00	9,536,262.00	3,113,248.00	2,972,474.00	2,972,474.00	2,896,152.00	(76,322.00)
570	1.8.1 ქონებისთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							-
580	1.8.1.1 დარიცხვები	2811							-
590	1.8.1.2 კაპიტალ-გროსირების შესაძენიდან ამოღებული მომსახურება	2812							-
600	1.8.1.3 ქონებისთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც საფუძველი პირობის შეღებვას უზღუდავს	2813							-
610	1.8.1.4 რენტა	2814							-
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282			3,113,248.00	2,972,474.00	2,972,474.00	2,896,152.00	(76,322.00)
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			1,610,878.00	1,575,000.00	1,575,000.00	1,529,694.00	(45,306.00)
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			1,502,370.00	1,397,474.00	1,397,474.00	1,366,458.00	(31,016.00)

მონაცემები შტატები და შტატგარეშე მოსულები რეგისტრაციის შესახებ				
მაჩვენებელი და დასახელება	მოქმედი		ჩიუვებები	
	ტექნიკური	ფაქტობრივი	ტექნიკური	ფაქტობრივი
1. შტატები მომსახურების რეგისტრაცია				
2. შტატგარეშე მომსახურების რეგისტრაცია				

ფაქტობრივად დასაქმებულ პირთა რიცხვშია გაანგარიშებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადვოკატის მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოდური რაოდენობის კენი უნდა გაიყოს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
მთავარი ბუღალტერი:
ბ.ა





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ხალხმის დანართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ხაკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური
2015 წლის 01 ივლისის მდგომ. მდგომარეობა: რესპუბ. ბიუჯ. ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ს.კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	1,759,771.00	818,436.00	579,814.00	579,814.00	579,814.00
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	-	-	579,814.00	579,814.00	579,814.00
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	-	-	539,519.00	539,519.00	539,519.00
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსებობისგანთავსებული შენობები	31112			539,519.00	539,519.00	539,519.00
060	1.1.1.3 საგზაო მანქანარაღები	31113					
070	1.1.1.4 ტექნიკა	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 ფერხაშები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მოწყობების	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მიწის ნაკვეთები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	-	-	37,170.00	37,170.00	37,170.00
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			37,170.00	37,170.00	37,170.00

180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113			3,125.00	3,125.00	3,125.00
190	1.1.3.1 კულტურისგანთავსებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არსებობისგანთავსებული ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ფიქსირებული	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არსებობისგანთავსებული ძირითადი	311322			3,125.00	3,125.00	3,125.00
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-
240	1.2.1 სატრანსპორტო მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნაღდი ფული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმუშავებული მარაგები	31222					
280	1.2.2.3 მზის პროდუქტები	31223					
290	1.2.2.4 მზის პროდუქტების მზის პროდუქტების	31224					
300	1.3 ფასილიტატიები	313	-	-	-	-	-
310	1.4 არაფინანსური აქტივები	314	-	-	-	-	-
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წყაროები	3142					
340	1.4.3 სხვა მატერიალური აქტივები	3143					
350	1.4.3.1 საინჟინერო-მშენებლო საშუალებები	31431					
360	1.4.3.2 სხვა მატერიალური აქტივები	31432					
370	1.4.4 არაფინანსური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:
მთავარი ბუღალტერი:
ბ.ა.






აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბუღალტრის დანართი ფორმა №2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის არ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კოდი _____ ნაერთი _____

პერიოდულობა წლიური კვარტალური 2015 წლის 01 ივლისის მდგომარეობით ზამთის კვლევის ღარი

სტრუქტურის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული ანუ ვერცხლი	დაზღვრებული ანუ ვერცხლი	ვალდებულება	მიზნობრივი	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
020	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
030	1.1.1 ვალდებულება და დავისგამგებ	3211					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3212					
050	1.1.3 სესხები	3213					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3214					
070	1.1.5 საფინანსო რეზერვები	3215					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3216					
090	1.1.7 სხვა კრედიტორული დავისგამგებები	3217					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალდებულება და დავისგამგებ	3221					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3222					
130	1.2.3 სესხები	3223					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3224					
150	1.2.5 საფინანსო რეზერვები	3225					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3226					
170	1.2.7 სხვა კრედიტორული დავისგამგებები	3227					

180	1.3 მიმდინარე აქტივები და ნაღების სხვადასხვა	33					
190	2. ვალდებულებები	33	0	85088	85834	83834	83834
200	2.1 საშინაო	331	0	85088	83834	83834	83834
210	2.1.1 ვალდებულება და დავისგამგებ	3311					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3312					
230	2.1.3 სესხები	3313					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო პარტიზონი და ორგანიზაციები)	3314					
250	2.1.5 საფინანსო რეზერვები	3315					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3316					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავისგამგებები	3317	0	85088	83834	83834	83834
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალდებულება და დავისგამგებ	3321					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3322					
310	2.2.3 სესხები	3323					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო პარტიზონი და ორგანიზაციები)	3324					
330	2.2.5 საფინანსო რეზერვები	3325					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3326					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავისგამგებები	3327					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი _____

მთავარი ბუღალტერი _____

მ. ა. _____



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფინანსური აუდიტის ანგარიში

ნაღებში დანართი ფორმა №3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პერიოდიკალიზაცია: წლიური, კვარტალური 2015 წლის 01 ივლისის

კოდი _____

დაფინანსების წყაროების
მიხედვით

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	82507581
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	7614685	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, მ.შ.	14191306
	რესპონდენტ	608364		საბიუჯეტო	740072
	საბიუჯეტო	2540530			
7200	საქონელი და მომსახურება	130334	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
	რესპონდენტ	130334			
	საბიუჯეტო				
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	7326	6000	შემოსავლები	62729
	მ.შ. ფიზიკური ეკონომიკა	0	6300	მ.შ. ტრანზაქციები	62729
7310					
7400	პროცენტი				
7500	საუნაღდეგო	32500			
	რესპონდენტ				
7600	გზავრები				
	რესპონდენტ	65526			
7700	საოფისური უზრუნველყოფა	1340			
	რესპონდენტ				
	საბიუჯეტო	2900380			
7800	სხვა ხარჯები				
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	14100
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკანის შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	400037			
	საფინანსო ბრუნვა	14301022		საფინანსო ბრუნვა	15008207
	სულ ჯამი**	14301022		სულ ჯამი***	97515788
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	-		ნაშთი პერიოდის ბოლოს	83214766.00

* აღნიშნულ სტრიქონებზე აღირიცხება სამიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** საფინანსო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ესტება საფინანსო ბრუნვა


*** საფინანსო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ესტება საფინანსო ბრუნვა


ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

მ.ა.



[illegible]



19 | გ 3 ე რ დ 0